IMAGE OF A CREATIVE WOMAN IN VIRGINIA WOOLF'S ESSAYS

შემოქმედი ქალის სახე ვირჯინია ვულფის ესსეებში

Ketevani Kharatishvili
PhD student of Ivane Javakhishvili Tbilisi State University,
N1, Illia Chavchavadze Ave, Tbilisi 0179, Georgia,
English Language Lecturer of David Aghmashenebeli
National Defence Academy of Georgia,
3rd km, Tskhinvali Highway, Gori 1400, Georgia
+995558767270, ketevani.kharatishvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0003-3037-5658

Abstract. This paper presents an analysis of the essays "A Room of One's Own" and "The Common Reader" by the famous modernist writer Virginia Woolf. In these essays, the author discusses women's rights and brings forward such problems as gender inequality, the pressure of patriarchal society and the psychological impact on women. In "A Room of One's Own" there is an argumentative discussion about why there is a shortage of female writers in the world's literary scene. Woolf tells us that women had to overcome many obstacles in getting an education, they were financially dependent on men, had no personal space to express their creative talents. Woolf notes that history and literature tell us differently about women. While women are underrepresented in history until the 18th century, literature has always had strong female characters, as illustrated by Cleopatra or Lady Macbeth. Women's financial dependence, social pressure and aspirations of the patriarchal society have always prevented them from realizing themselves creatively. The central figure of the essay is William Shakespeare's imaginary sister, Judith Shakespeare, by illustrating her destiny, the writer perfectly shows how different the society's attitude towards creative men and women is, and Judith's tragic life once again convinces us of what a woman's fate could be in the creative arena. The essays also include discussion of famous women writers and their struggles, and finally gives us a discussion of certain characteristics of a good novel. As for the collection of essays 'The Common Reader', here Woolf gives a more extensive review of women writers working in different eras and the peculiarities of their work, style and manner of writing, including the works of George Eliot, the Brontë sisters and Margaret Cavendish. The conclusion summarizes the discussion and the significance of Virginia Woolf's essays in feminist literature.

Keywords: *Virginia Woolf, essays, feminist literature, creative women.*

ქეთევანი ხარატიშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ილია ჭავჭავაძის გამზირი N1, ქ. თბილისი, 0179, საქართველო,
დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს
ეროვნული თავდაცვის აკადემიის ინგლისური ენის ლექტორი,
ცხინვალის გზატკეცილი, მე-3 კმ. ქ. გორი 1400, საქართველო,
+995558767270, ketevani.kharatishvili@gmail.com,
https://orcid.org/0000-0003-3037-5658

აბსტრაქტი. წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია ცნობილი მოდერნისტი მწერლის, ვირჯინია ვულფის ესსეების „საკუთარი ოთახი“ და „The Common Reader“ ანალიზი. აღნიშნულ ესსეებში ავტორი განიხილავს ქალთა უფლებებს და წინ წამოსწევს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა გენდერული უთანასწორობა, პატრიარქალური საზოგადოების წნეხი და ქალებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედება. „საკუთარ ოთახში“ გვხვდება არგუმენტირებული მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რატომ არის მსოფლიო სამწერლობო ასპარეზზე ქალი მწერლების სიმცირე. ვულფი გვეუბნება, რომ ქალებს უამრავი დაბრკოლების გადალახვა უწევდათ განათლების მიღებისას, ისინი იყვნენ ფინანსურად მამაკაცებზე დამოკიდებული, არ ჰქონდათ პირადი სივრცე, რათა გამოევლინათ შემოქმედებითი ნიჭი. ვულფი აღნიშნავს, რომ ქალებზე განსხვავებულად გვიყვება ისტორია და ლიტერატურა. მაშინ როცა ისტორიაში ქალები მე-18 საუკუნემდე ნაკლებად არიან მოხსენებულნი, ლიტერატურაში ოდითგანვე გვხვებოდნენ ძლიერი ქალი პერსონაჟები, ამის საილუსტრაციოდ მხოლოდ კლეოპატრას ან ლედი მაკბეტის ხსენებაც კი საკმარისი იქნებოდა. ქალებს ფინანსური დამოკიდებულება, სოციალური წნეხი და პატრიარქალური საზოგადეობის მისწრაფებები მუდამ ხელს უშლიდა მათ შემოქმედებითად რეალიზებაში. ესსეს ცენტრალური ფიგურაა უილიამ შექსპირის წარმოსახვითი და, ჯუდით შექსპირი, რომლის მაგალითზეც მწერალი შესანიშნავად გვიჩვენებს როგორი განსხვავებულია საზოგადოების დამოკიდებულება შემოქმედი ქალისა და მამაკაცის მიმართ, ხოლო ჯუდითის ტრაგიკული ბედი კიდევ ერთხელ გვარწმუნებს როგორი შეიძლება ყოფილიყო ქალის ხვედრი შემოქმედებით ასპარეზზე. ესსეებში აგრეთვე წარმოდგენილია მსჯელობა ცნობილ ქალ მწერლებზე და მათ ურთულეს ყოფაზე, საბოლოოდ კი გვხვდება მსჯელობა კარგი რომანის გარკვეულ თავისებურებებზე. რაც შეეხება ესსების კრებულს ‘The Common Reader’, აქ ვულფი უფრო ვრცლად მიმოიხილავს სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ქალ მწერლებს და მათი შემოქმედების თავისებურებებს, სტილსა და წერის მანერას, მათ შორის, ჯორჯ ელიოტის, დებ ბრონტეების და მარგარეტ კავენდიშის ნაშრომებს. დასკვნაში შეჯამებულია მსჯელობა და ვირჯინია ვულფის ესსეების მნიშვნელობა ფემინისტურ ლიტერატურაში.

საკვანძო სიტყვები: *ვირჯინია ვულფი, ესსეები, ფემინისტური ლიტერატურა, შემოქმედებითი ქალები.*

შესავალი. შემოქმედი ქალის განვითარების პრობლემა ხშირადაა დასმული თანამედროვე ლიტერატურაში. საზოგადოებაში ქალთა უფლებების თანდათანობით წინა პლანზე წამოწევამ განსაკუთრებით განაპირობა ამ საკითხის აქტუალურობა. ქალების უფლებების შეზღუდვის და პატრიარქალური საზოგადოების წნეხის შედეგად, დღის წესრიგში დადგა საკითხი ისინიც აღჭურვილიყვნენ იმავე უფლებებით, რითაც მამაკაცები საუკუნების განმავლობაში სარგებლობდნენ. ეს თემა კიდევ უფრო პოპულარული და აქტუალური გახდა ოცდამეერთე საუკუნში, როდესაც განსაკუთრებით გააქტიურდნენ ფემინისტები. თუმცა აქტიური ბრძოლა დამოუკიდებლობისა და თავისუფლების მოსაპოვებლად, მეოცე საუკენში დაიწყო, როცა მსგავსი რევოლუციური მიდგომები იყო ქალთა უფლებების მიმართ. ამის დასტურია ქალთა უფლებების დასაცავად მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში მიღებული არაერთი კონვენცია და დეკლარაცია.

ვირჯინია ვულფი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი მოდერნისტი მწერალი და ესეისტია, რომლის შემოქმედებაშიც ხშირადაა დასმული შემოქმედი ქალის განვითარების პრობლემა. ვულფი პირველია, ვინც შემოქმედი ქალების პრობლემები სააშკარაოზე გამოიტანა და მათ ბედზე ღიად დაიწყო საუბარი. მისი ესსეები ფემინისტური იდეოლოგიის ქვაკუთხედად იქცა. სწორედ შემოქმედ ქალებს ეხება მისი

ვრცელი ესსე „საკუთარი ოთახი“ (1929), სადაც ავტორი მათთვის დღემდე აქტუალურ საკითხებს განიხილავს და რომანის წერის ხერხებზეც მსჯელობს. ამ ესსეში მწერალი, აგრეთვე, საუბრობს ცნობილ მწერალ ქალებსა და მათ წვლილზე თანამედროვე ლიტერატურის განვითარებაში. მწერალი ქალების კიდევ უფრო სიღრმისეული და ვრცელი ანალიზი გვხვდება ვულფის ესსების კრებულში „The Common Reader”, სადაც ავტორი ამ ქალების შემოქმედების მხატვრულ ტექნიკაზე მსჯელობს და მათ ნაწარმოებებს საინტერესოდ აჯამებს.

მეთოდი. ნაშრომში გამოყენებულია ანალიზის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც ხდება საკვლევი მასალის დაყოფა მის შემადგენელ ნაწილებად და მათი ცალკეული შესწავლა სისტემური თვისებებისა და ურთიერთობების დასადგენად.

მსჯელობა. (საკუთარი ოთახი) ვირჯინია ვულფის ესსე „საკუთარი ოთახი“ 1929 წელს გამოქვეყნდა და მასში ვულფი იმ მნიშვნელოვან საკითხებზე წერს, რაც შემოქმედი ქალების თვითდამკვიდრებისთვისაა საჭირო. ეს ესსე შესანიშნავად გამოხატავს ავტორის ფემინისტურ იდეოლოგიას და პროტესტს აცხადებს ქალების შეზღუდული უფლებების წინააღმდეგ. „საკუთარი ოთახი“ ფემინისტური კრიტიკის პირველი მოდერნისტული ტექსტია და იმ მორალურ და ინტელექტუალურ საკითხებს იკვლევს, რაც 1920-იანი წლების ქალებს აწუხებს (Maze, 1997: 30). ვულფმა კემბრიჯის ქალთა კოლეჯებში წარდგენილი ლექციების კურსი ქალებისთვის ახლობელ და საინტერესო ესსედ გადააქცია. ესსეს ცენტრალური საკითხია ცნობილი თეზისი, საკუთარ ოთახზე, რაც აგრეთვე წიგნის სათაურში ჰპოვებს გამოძახილს. ვულფი იმის მტკიცებისას, რომ ქალებს საკუთარი ოთახი სჭირდებათ რაიმე ღირებულის შესაქმნელად, ორ შეკითხვას სვამს, რომელთაგანაც ერთი ისტორიულია, მეორე კი თანამედროვეობასთან არის დაკავშირებული. პირველ რიგში, ვულფს აინტერესებს, თუ რატომ არის შემოქმედი ქალების სიმცირე მსოფლიო სამწერლობო ასპარეზზე და მეორე, როგორ შეიძლება თავისი თანამდროვე მწერალი ქალების შემოქმედებითად ზრდა. ვულფის პასუხი ამ უკანასკნელ კითხვაზე „მატერიალისტური“ პასუხის სახელითაა ცნობილი; ის მიიჩნევს, რომ ამ ქალებს არ შეუძლიათ თავიანთი კეთილდღეობის უზრუნველყოფა, რადგან ფინანსურად დამოკიდებულნი არიან საპირისპირო სქესზე და იმ პირობების შესაბამისად, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება, ისინი ვერ შეძლებენ შემოქმედებითად მუშაობას. ვულფის აზრით, სანამ ქალები არ გადალახავენ მატერიალურ ბარიერებს, ისინი კვლავ მამაკაცებზე დამოკიდებულნი იქნებიან და მათი სოციალური არასრულფასოვნება ბიოლოგიური არასრულფასოვნების ლოგიკური მაჩვენებელი იქნება. ესსეში აგრეთვე განხილულია ღირებული ნაწარმოებების მახასიათებლები და მისი ავტორის დამოკიდებულება შემოქმედების მიმართ.

ნაწარმოების დასაწყისში ვულფი აღნიშნავს, რომ მთხრობელი არ უნდა იქნეს ავტორთან გაიგივებული, თუმცა ის იყენებს „მე“-ს რადგან მიაჩნია, რომ ეს მიმართვა ბევრად უფრო მოსახერხებელია: „მიწოდეთ მერი ბეტონი, მერი სეტონი, მერი ქარმაიკლი ან ნებისმიერი სხვა სახელი, რომელიც გსურთ - ეს სულ ერთია“ (ვულფი, 2007: 3). მთხრობელი ამბობს, იმისათვის, რომ ქალმა შექმნას ნაწარმოები, მას სჭირდება პირადი სივრცე და სამსახურის გარეშე ხუთი ათასი ფუნტის ოდენობის შემოსავალი წელიწადში. ამით იგულისხმება, რომ მწერლის ფიქრისა და აზროვნებისთვის მნიშვნელოვანია დრო და სიმყუდროვე და შემოქმედებითად მუშაობას ვეღარ შეძლებს თუ სამსახურში დახარჯა ენერგია. ამის დასადასტურებლად მოყვანილია სახალისო ისტორიები. მათგან ერთ-ერთია ლანჩის ამბავი ქალთა და მამაკაცთა კოლეჯებში, ქალები უგემურ და ერთფეროვან ვახშამს შეექცევიან, მაშინ როცა მამაკაცთა კოლეჯებში ყოველთვის საუცხოო და გემრიელი კერძებია. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საუკუნეების განმავლობაში

უამრავი ფული და ენერგია იხარჯებოდა მამაკაცთა განათლებისათვის, განსხვავებით ქალებისგან. ამით ავტორი ხაზს უსვამს თავისი არგუმენტების ძირითად მხარეს, ქალებს ყოველთვის ნაკლები შანსი ჰქონდათ კარგი განათლება მიეღოთ, გარდა ამისა, მათ სასწავლებლებშიც არასათანადო პირობები იყო და ამიტომაცაა მწერალ ქალთა მცირე რაოდენობა.

ესსეში გაანალიზებულია მამაკაცების მიერ ქალების შესახებ დაწერილი ლიტერატურა. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ მთხრობელის კვლევის მიხედვით, მამაკაცები მუდამ ფიქრობენ ქალებზე, თუმცა მათი შეფასებები ყოველთვის ერთმანეთისგან განსხვავებულია (Selected Essays, 1972: 146). ბიბლიოთეკაში ძიების პროცესში აღმოჩენილი წიგნი „მდედრობითი სქესის გონებრივი, მორალური და ფიზიკური არასრულფასოვნება“, სრულიად საკმარისი გახდა შემდეგი დასკვნის გამოსატანად: „ინგლისი პატრიარქალური მმართველობის ქვეშაა“ (ვულფი, 2007: 27). სამწუხაროა ისიც, რომ მამაკაცები მუდმივად ამახვილებენ ყურადღებას ქალთა არასრულფასოვნებაზე, რათა თავიანთ აღმატებულობას გაუსვან ხაზი და შეინარჩუნონ ძალაუფლება, რითაც თავდაჯერებულობასაც იძენენ. სწორედ ამ მიზეზით აცხადებდნენ ნაპოლეონი და მუსოლინი დაჟინებით ქალების არასრულფასოვნების შესახებ, რადგან თუ ისინი არ იქნებიან მამაკაცებზე სუსტები, ამ უკანასკნელების აღმატებულობა დაიჩრდილება. საუკუნეების განმავლობაში ქალები საპირისპირო სქესისათვის მაგიური სარკეების როლს ასრულებდნენ, სადაც მამაკაცები ბუნებრივზე ორჯერ უფრო დიდები ჩანან. მამაკაცისათვის არსებითად მნიშვნელოვანია თავდაჯერებულობა, საკუთარი თავის რწმენა, იმისათვის რომ არსებობისათვის ბრძოლაში ძალა მიეცეს, „მიიღოს გადაწყვეტილებები, დაიპყროს ახალი ტერიტორიები, კანონები შექმნას, წიგნები წეროს, მოიკაზმოს და გრძელი სიტყვები წარმოთქვას ბანკეტებზე“ (ვულფი, 2007: 3). მოგვიანებით ესსეში პარადოქსული შეკითხვა ისმის, ისტორიის სახელმძღვანელოები მუდმივად ქალთა სოციალურად შეზღუდულობაზე ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ მამაკაცთა მიერ დაწერილ ლიტერატურულ ნაწარმოებებში ქალი პერსონაჟები ყოველთვის გამორჩეულები, მრავალმხრივნი და რთული ხასიათის მქონენი არიან, ხშირ შემთხვევაში მამაკაცებზე აღმატებულნიც. ამის დასადასტურებლად მხოლოდ ანტიგონეს, კლეოპატრას ან ლედი მაკბეტის ხსენებაც კი საკმარისია, მაგრამ, სულ სხვას მოგვითხობს ისტორია. იმ მწირ ფაქტებზე დაყრდნობით, რაც მთხობელმა მოიძია, ქალი „იყო ოთახში გამოკეტილი, ნაცემი და თმით ნათრევი“ (ვულფი, 2007: 34), ან კიდევ „ის მონა იყო ნებისმიერი ბიჭის, ვისი მშობლებიც თითზე ბეჭედს წამოაცმევდნენ“(ვულფი, 2007: 34). ამგვარ ურთიერთსაპირისპირო დებულებებს გვთავაზობს ლიტერატურა და ისტორია. ამიტომ, მეტად მნიშვნელოვანია ისტორიული ფაქტების არსებობა, რომელთა მეშვეობითაც რაიმე დასკვნის გამოტანა შეიძლება. სამწუხაროდ, მე-18 საუკუნემდე ქალებს თითქმის არ მოიხსენიებენ ისტორიის წიგნებში, ისინი მხოლოდ დიადი მამაკაცების ჩრდილში ჩანან, მხოლოდ გაკვრით და გაურკვევლად (Selected Essays, 1972: 146) ისტორიისა და ლიტერატურის განსხვავებულობა კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ქალთა ისტორია თავიდანაა დასაწერი.

ესსეს მიხედვით, შეუძლებელია შეიქმნას ელიზაბეტის ეპოქის ქალის მოდელი, საინტერესოა, როგორ განათლებას იღებდნენ ისინი ან რატომ არ გვაქვს მათ მიერ შექმნილი შემოქმედების ნიმუშები. თუმცა, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ მათ ძირითადად ნების უკითხავად ათხოვებდნენ თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ასაკში, წარმოუდგენელია რომელიმე მათგანი შექსპირის მსგავსად შემოქმედებით მწვერვალზე ასულიყო და გენიალური ნაწარმოებები შეექმნა. ამასთან დაკავშირებით მთხრობელს ერთი ეპისკოპოსის სიტყვები ახსენდება, რომელიც ამბობდა, რომ „შეუძლებელია წარსულშიც, აწმყოშიც და მომავალშიც რომელიმე ქალს შექსპირის გენია ჰქონოდა ან ჰქონდეს“ (ვულფი, 2007: 36), მაგრამ მთხრობელს მაინც მიაჩნია, რომ შექსპირის სქესს

გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს სიდიადის მისაღწევად. ზემოთქმულის დასამტკიცებლად ესსეში მოყვანილია შექსპირის წარმოსახვითი და. ჯუდით შექსპირი ისეთივე ნიჭითაა დაჯილდოებული, როგორითაც საკუთარი ძმა, მაგრამ თავისი თანამედროვე ყოფა მას ხელს უშლის ტალანტის გამოვლენაში, რის შედეგადაც მისი შემოქმედებითი მე დროის უსამართლობას ეწირება. ჯუდითს არ აძლევენ უფლებას განათლება მიიღოს, ამიტომ თავისუფალ დროს თვითგანვითარებას უთმობს, ძმის წიგნებს ჩუმად კითხულობს, სანამ სახლის საქმეების გასაკეთებლად არ მოიხმობენ. მხოლოდ მალულად წერს, შემდეგ კი საკუთარ ნაშრომებს ანადგურებს, რადგან ჩაგვრის და დაცინვის ეშნია. სრულიად ახალგაზრდა და გამოუცდელი საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ ინიშნება და როცა პროტესტს აცხადებს, სასტიკად ისჯება. ისევდაისევ საკუთარი ნიჭის ძალით და კარნახით ჯუდითი სახლიდან გაიქცევა და ლონდონის გზას დაადგება. მას სურს რომ მსახიობობაში ცადოს ბედი, მაგრამ აქაც მხოლოდ დაცინვნა და დამცირება ელოდება. საბოლოოდ, თეატრის მენეჯერისგან შეცდენილი და მიტოვებული თავს იკლავს, „და ახლა განისვენებს რომელიღაც გზაჯვარედინზე, სადაც ეტლები ჩერდებიან, სადმე, ელეფანთ ენდ ქასთელის გარეუბანში“ (ვულფი, 2007: 38).

ვულფის ესსეს მიხედვით, სწორედ ასეთი ტრაგიკული იქნებოდა შექსპირივით გენიალური ტალანტით დაჯილდოებული ქალის ბედი და რომ არა თვითმკვლელობა, ალბათ, სოფლისგან მოშორებულ სახლში იცხოვრებდა, ჯადოქრად ან გრძნეულად შერაცხული, ყველასგან გარიყული და მიტოვებული. გენიოსები იშვიათად თუ იბადებიან უბრალო, გაუნათლებელ ხალხს შორის და ერთი მაინც თუ გამოჩნდა, სოციალური ბარიერი ზღუდავს მას და ამის შედეგად, ხელოვნების განვითარებაც ფერხდება (Selected Essays, 1972: 138). მე-16 საუკუნეში დაბადებული შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული ქალი განწირულია უბედურებისთვის. მისი ცხოვრების ყველა ასპექტი ხელს უშლის მას შემოქმედებითად მუშაობაში. ყველაზე უფრო ღარიბი მწერალი მამაკაცებიც კი უკეთეს პირობებში წერენ, მაშინ როცა „ელემენტარულად, ქალს საერთოდ არ გააჩნდა საკუთარი ოთახი, წყნარს და ბგერაშეუღწეველს რომ თავი დავანებოთ, თუკი მისი მშობლები არაჩვეულებრივად მდიდრები და დიდგვაროვნები არ იყვნენ“(ვულფი, 2007: 41). ღირებული ნაშრომის შექმნა ხომ უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს, მატერიალური სამყაროს უმნიშვნელო დეტალებმაც კი შეიძლება ხელი შეუშალოს შემოქმედებით პროცესს, ხოლო ქალები ყველა ამ დაბრკოლებასთან ერთად სამყაროს უკიდურეს გულგრილობას და დაცინვას ეჩეხებოდნენ და „სამყარო ქალის წინ ხმამაღლა ხარხარებდა: „წერა? და რა ფასი აქვს შენს ნაწერს?“(ვულფი, 2007: 41).

საინტერესოა, თუ რა მიმართულებით განვითარდა იმ ქალთა შემოქმედება, რომლებმაც მეტ-ნაკლებად უკუაგდეს მწვავე კრიტიკის საშიშროება და თავიანთ ნიჭს გასაქანი მისცეს. ერთ-ერთი მათგანია ლედი უინჩილსი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში მოღვაწეობდა და ლექსებს თხზავდა. მის შემოქმედებაზე დაკვირვებისას აშკარად შეიმჩნევა უკმაყოფილება არსებული მდგომარეობისა და წინააღმდეგობების გამო, რომელთანაც გამკლავება უწევს. მსგავსი გრძნობების პოეზიაში გადმოტანა, სამწუხაროდ, აკნინებს მის მხატვრულ ღირებულებას, ლედი, რომლის ნიჭიც ასე აშკარა და გამოხატულია, მელანქოლიურ და სევდით აღსავსე სტრიქონებს წერს: „ამ ჩემს სტრიქონებს ვიცი, ბევრი რომ არ ენდობა. ქარაფშუტობად ჩამითვლიან და თავხედობად“(ვულფი, 2007: 48). ლედი უინჩილს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ის აუცილებლად გახდებოდა დაცინვის ობიექტი. მართლაც, პოპი და გეი მას უწოდებდნენ „ლურჯწინდას, რომელსაც წერისათვის ხელები ექავება“(ვულფი, 2007: 49). სწორედ ამიტომ, ლედისათვის ადამიანები ორ ურთიერთსაპირისპირო ბანაკად იყოფიან, რომელთაგანაც მამაკაცები „ოპოზიციონერთა ფრაქციას“(ვულფი, 2007: 46) განეკუთვნებიან.

დაახლოებით იგივე განცდები ეუფლებოდა ლედი უინჩილსის თანამედროვე გრაფინია მარგარეტ კავენდიშს, რომელიც აგრეთვე დიდგვაროვანთა ოჯახიდან იყო და პოეზიის ნიჭი ჰქონდა. თუმცა, მისი გონებაც სიძულვილით და პროტესტის გრძნობით იყო სავსე: „ქალები ცხოვრობენ, როგორც ღამურები და ბუები, ცხოველებივით შრომობენ და მატლებივით იხოცებიან...“(ვულფი, 2007: 49) დასანანია, რომ გრაფინიას დასცინოდნენ, მის სტრიქონებს აბუჩად იგდებდნენ, ამიტომ მან მარტოობა აირჩია და საბოლოოდ გიჟად შერაცხეს. დოროთი ოსბორნი, ასევე გრაფინიას თანამედროვე, გრაფინიას ნიჭს ეჭვის თვალით უყურებდა. თვითონ მას წერილების გარდა არაფერი დაუწერია, თუმცა, წერილებშიც კარგად იგრძნობა მისი მგრძნობიარე ბუნება და საოცარი მწერლური ნიჭი. მაგრამ, მისი კრიტიკული შეფასებები კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ წინაღობების არსებობას, რაც მწერალ ქალს ხვდებოდა.

შემდეგი მწერალი ქალი, აფრა ბენი, თავისი წინამორბედებისგან განსხვავებით საშუალო კლასს განეკუთვნებოდა და მის შემოქმედებაში ადამიანთა ყოველდღიურობაა ასახული. სწორედ აქედან იწყება ქალის გონების ერთგვარი გათავისუფლება და სხვადასხვა საკითხზე წერის გამბედაობა. აფრა ბენმა კალამი ხელში უსახსრობის გამო აიღო, მან დაამტკიცა, რომ მწერლობა ქალისათვის ქარაფშუტობა კი არა, ფულის შოვნის ერთ-ერთი გზაა და ეს ნამდვილად წინ გადადგმული ნაბიჯი იყო. მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ქალებმა უკვე აქტიურად მიჰყვეს ხელი სამწერლობო საქმიანობას და ეს მათი შემოსავლოს ერთ-ერთ წყაროდ იქცა. აღსანიშნავია, ის ფაქტიც, რომ ამ პერიოდის ნაწარმოებები ვერ დაიკვეხნის შემოქმედებითი ღირებულებით, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ამ მწერალმა ქალებმა გზა გაუკვალეს მათ შთამომავლებს და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში უკვე სერიოზული ლიტერატურის შექმნა დაიწყეს.

მაგალითად ავიღოთ „ჯეინ ეარი“, რომელიც შარლოტ ბრონტეს ქმნილებაა. ამ ნაწარმოებში ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მისი ცენტრალური ფიგურა ქალია, რომელიც ცდილობს დამოუკიდებლად გზის გაკვლევას და დაბრკოლებებს არ ეპუება, მაგრამ თითქოს ამ ქალის მიღმა თავად ავტორის ხმა ისმის, რომელიც ბევრ რამეზე ჩივის: „ყველას შეუძლია დამდოს ბრალი, ვისაც კი სურს”(ვულფი, 2007: 55), ჯეინ ეარის პერსონაჟი დარდობს რომ პირადი თავისუფლება არ გააჩნია ჰორიზონტს მიღმა არსებული სამყაროს შესაცნობად, სხვადასხვა ადამიანებთან შესახვედრად და მათი ცხოვრების სტილის გასაცნობად. მსგავსი ტონი ზიანს აყენებს ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას. თითქოს, აშკარაა შარლოტა ბრონტეს რისხვა და სიმწარე საკუთარი უნარშეზღუდულობის გამო.

ჯეინ ეარზე მსჯელობის შემდეგ მთხრობელი ემილი ბრონტეზეც საუბრობს და აღფრთოვანებას გამოთქვამს მისი სტილის და წერის მანერის შესახებ. ემილი ბრონტემ შეძლო და უკუადგო კრიტიკის შიში და ყველაფრისგან თავისუფალმა შექმნა თავისი შედევრი „ქარიშხლიანი უღელტეხილი.“ ეს რომანი ნამდვილად ყოველგვარი დიდაქტიკისგან თავისუფალი ტექსტია, სადაც შესანიშნავად არის წარმოჩენილი ავტორის ენის სინატიფე და დახვეწლობა. თან ნუ დაგვავიწყდება, რა პირობებში იქმნებოდა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის რომანები, საშუალო კლასის ქალებს ხომ საკუთარი ოთახი არ ჰქონდათ და მათ საერთო ოთახში, ოჯახის წევრებთან ან სტუმრებთან ერთად უწევდათ შემოქმედებითად მუშაობა. ეს ნაწილობრივ საშუალებას აძლევდა მათ დაკვირვებოდნენ პერსონაჟების ბუნებას, თუმცა ისინი ვერ შეძლებდნენ ლექსებზე ან პიესებზე მუშაობას, რაც გაცილებით მეტ ძალისხმევას მოითხოვდა, მათთვის აღნიშნულ პირობებში პროზაული ნაწარმოების წერა გაცილებით მოსახერხებელი იყო. ამასთანავე ეს ქალები, სასტუმრო ოთახებში გამოკეტილნი ახერხებდნენ სამყაროს სისავსის გადმოცემას, ყოველგვარი ცხოვრებისეული გამოცდილების გარეშე. ჯორჯ ელიოტი, იგივე მერი ევანსი გაექცა ამ მონოტონურ ერთფეროვნებას, თუმცა მხოლოდ სენტ ჯონის ტყეში განაგრძო ცხოვრება, რადგან ცოლიან მამაკაცთან ურთიერთობის საშინელი ლაქა ჰქონდა. იმავე

დროს, მისგან მოშორებით მცხოვრები ლევ ტოლსტოი ცხოვრებისეული თავგადასავლებით ტკბებოდა, ათასგვარ გამოცდილებას იძენდა, რამაც მისცა მას შთაგონება შეექმნა „ომი და მშვიდობა“, თუმცა, მსგავსი თავგადასავლების გამო ის არავის გაუკიცხავს.

საერთო ოთახში და იმავე პირობებში მუშაობდა ჯეინ ოსტინი თავის შესანიშნავ რომანებზე. საოცარია, როგორ ახერხებდა მსგავს პირობებში ოსტინი „სიამაყე და ცრურწმენა“ შეექმნა და თან თავის წიგნზე არავითარი კვალი არ ჰქონოდა ამ პირობების სიმძიმეს. როგორც მისი ძმიშვილის მემუარებიდან ჩანს, ამის გამო ოსტინს გამუდმებით უწევდა წერის შეწყვეტა, რათა მსახურებს ან სტუმრებს არ გაეგოთ მისი საქმიანობის შესახებ. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ჯეინ ოსტინის ცხოვრება ისეთივე ერთფეროვანი იყო, როგორც მისი თანამედროვე ქალების უმეტესი ნაწილის. მთხრობელი აღნიშნავს, რომ მას არასოდეს უმოგზაურია და გარეთ არასოდეს უსადილია მარტოს, თუმცა მის შემოქმედებაში ვერ შეამჩნევთ ამგვარ შევიწროებულ და მონოტონურ ცხოვრების კვალს, რაც განაპირობებს კიდეც მისი ნაწარმოებების განსაკუთრებულობას. ჯეინ ოსტინის წერის მანერა ძალიან დახვეწილია და მარტივად გასაგები, ამის მთავარი ფორმულაა წინადადების მოქნილი და მსუბუქი ფორმა, რომლის მეშვეობითაც სიცოცხლეს სძენს ნაწარმოებებში აღწერილ მოვლენებს და პერსონაჟებსაც სხვაგვარ ელფერს ანიჭებს. ვულფის გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ უბრალოებაში აღზრდილი ჯეინ ოსტინი, რომელმაც მოღვაწეობა მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში დაიწყო, სასწაულებრივად ახერხებს სიძულვილის შიშის დაპროტესტის გრძნობის გარეშე შექმნას ნაწარმოებები. ვულფი ფიქრობს, სწორედ ასე თავისუფლად წერდა შექსპირიც და სრულიად გამართლებული და ბუნებრივია მათი ერთმანეთთან შედარება, რადგან ორივემ დაძლია ყოველგვარი წინააღმდეგობა და წერას მიუძღვნა თავი.

„საკუთარ ოთახში“ მთხრობელი მეოცე საუკუნეში მოღვაწე მწერალი ქალი შემოქმედებასაც იკვლევს. მის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მერი ქარმაიკლის რომანი „ცხოვრების მოგზაურობა.“ მიუხედავად გარკვეული ნაკლოვანებებისა, რომანში მთხრობელი აწყდება ფრაზას, „ქლოს ოლივია მოსწონდა“(ვულფი, 2007: 55), რაც მის სასიამოვნო გაოცებას იწვევს. ქლო და ოლივია ამ წიგნის ორი ქალი პერსონაჟია, რომლებიც ავტორმა სხვა კუთხით დაგვანახა. საინტერსოა ის, რომ მერი ქარმაიკლამდე არასოდეს ყოფილა ორი ქალის მეგობრობა აღწერილი, ქალები ყოველთვის საპირისპირო სქესთან ურთიერთობაში იყვნენ წარმოდგენილნი. რა ერთფეროვანი იქნებოდა ლიტერატურა მხოლოდ სატრფოების ისტორიებს რომ მოგვითხრობდეს, აქ ხომ მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მამაკაცების მეგობრობას, მოაზროვნეებს, მეოცნებეებს. მერი ქარმაიკლის რომანი მიმზიდველი იმითაა, რომ ის რაღაც ახალს და საინტერესოს გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ მას აკლია ის დახვეწილობა და სინატიფე, რაც მისი წინამორბედი მწერალი ქალების რომანებისთვისაა დამახასიათებელი, იგრძნობა, რომ ის ბევრად თავისუფალია, აღარ ოცნებობს ჰორიზონტს იქით სამყაროს აღმოჩენაზე, რადგან უკვე აქვს ამ სამყაროს შეცნობის შესაძლებლობა. მერი ქარმაიკლი წერს როგორც ქალი და რომანიც სავსეა სასიამოვნო ქალური მუხტით, რაც მთხობელის მიხედვით განსაკუთრებით მაშინაა ნათელი, როცა წერისას ივიწყებ, რომ ქალი ხარ. მერი ქარმაიკლის შემოქმედების ანალიზის შემდეგ მთხობელი ფიქრობს, რომ კიდევ ასი წელია საჭირო, რათა ბოლომდე თავისუფალი გონებით მოხდეს მწერალი ქალების მიერ ნაწარმოებების შექმნა. „მიეცი მას კიდევ ასი წელიწადი... მიეცით მას საკუთარი ოთახი და ხუთასი ფუნტი წელიწადში, მიეცით ნება, თავისუფლად აალაპარაკოს საკუთარი გონება და ფურცელზე დაწეროს იმის ნახევარი, რასაც ახლა მეხსიერებაში ინახავს; და მალე ის უკეთეს წიგნს დაწერს“ (ვულფი, 2007: 74).

საინტერესოა, როგორ იქმნება კარგი რომანი და რა თავისებურებები უნდა გააჩნდეს მას რომ მკითხველის აღტაცება გამოიწვიოს. მთხრობელის მსჯელობის მიხედვით,

რომანი გარკვეულწილად აირეკლავს ცხოვრებისეულ სიმართლეს, მაგრამ ამავე დროს აუცილებელია მხატვრული, გამოგონილი ელემენტები, რათა განუმეორებელი შთაბეჭდილება მოახდინოს მკითხველზე. კარგ რომანს აგრეთვე აქვს განსაკუთრებული თვისება, ერთდოულად აგრძნობინოს მკითხველს სხვადასხვა ემოცია, ამასთანავე დიადი რომანი არასოდეს ძველდება და ერთნაირი ეფექტი აქვს სხვადასხვა ეპოქის თუ ეროვნების წარმომადგენლებზე. ამგვარი რომანები ავტორის „დამაჯერებლობის“(ვულფი, 2007: 57) დამსახურებაა. მაგრამ მთხრობელს აინტერესებს აქვს თუ არა მწერლის სქესს გავლენა რომანზე. რომანში გარკვეულწილად ცხოვრებისეული ფასეულობების ასახვა ხდება, ხოლო ქალების მიერ შექმნილი ფასეულობები განსხვავდება მამაკაცებისაგან, რაც გავლენას ახდენს ნაწარმოების იდეოლოგიაზე. გარდა ამისა, პატრიარქალური ფასეულობები მუდამ დომინანტური იყო, „კრიტიკოსები თვლიან, რომ ესა თუ ის კონკრეტული წიგნი მნიშვნელოვანია, რადგან იგი ომს ეხება. ხოლო წიგნი, რომელიც სასტუმრო ოთახში გამოკეტილი ქალის გრძნობებს ეხება, მნიშვნელობას მოკლებულია“(ვულფი, 2007: 59) ამიტომაცაა, რომ ქალების მიერ დაწერილ რომანებში მუდამ იგრძნობა კრიტიკის შიში. მაგალითად, თუ „ჯეინ ეარს“ მივუბრუნდებით, აშკარაა რომ წიგნში შარლოტ ბრონტეს ფარული ვნებები და გულისტკივილია ჩაქსოვილი.

საბოლოოდ, მთხრობელი ფანჯრიდან ოქტომბრის სურათს გასცქერის და აკვირდება ლონდონის მჩქეფარე ცხოვრებას. ის ხედავს როგორ სხდებიან ტაქსიში ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი. ამ ერთიანობის აღქმა მთხრობელში ეპიფანიას იწვევს და მარტივი ხდება პასუხის გაცემა ესსეს ერთ-ერთ ცენტრალურ საკითხზე, თუ როგორი უნდა იყოს კარგი რომანი და როგორ იქმნება ის. ქალისა და მამაკაცის ერთობა ხომ ყველაზე სრულყოფილ ბედნიერებას ქმნის, შესაბამისად ორივე სქესში თანაარსებობს ქალური და მამაკაცური საწყისები და სწორედ მათი კავშირი განაპირობებს ღირებული ნაწარმოებების შექმნას. „დიდებული გონება ანდროგინულია“(ვულფი, 2007: 77) და სწორედ ასეთი გონება ჰქონდათ შექსპირსაც და ჯეინ ოსტინსაც, რისი დამსახურებითაც დაგვიტოვეს ღირებული მხატვრული ნაწარმოებები.

ესსეს დასარულს შექსპირის და მთელ კომპოზიციას ერთად კრავს, ის დიდებული პოეტია, რომელსაც თავისმა თანამედროვეობამ არ მისცა განვითარების საშუალება, მაგრამ შემოქმედ, მებრძოლ ქალებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი შრომითა და გამბედაობით სიცოცხლე დაუბრუნონ ჯუდით შექსპირს, რადგან ის კვლავ ცოცხალია „ცოცხალია ჩემში, თქვენში და სხვა ქალებში“ (ვულფი, 2007: 88).

აღსანიშნავია, რომ ვირჯინია ვულფის ესსე მოკლებულია ესსესათვის დამახასიათებელ სამეცნიერო სტილს, პირიქით ის მარტივი ენითაა დაწერილი და სასიამოვნოა მისი წაკითხვა. საქმე ისაა, რომ ვულფის სამიზნე აუდიტორია ქალებისგან შედგებოდა, ამიტომ საჭირო იყო სათქმელის ისეთი ფორმით მიწოდება, რომ გასაგები და საინტერესო ყოფილიყო, ამასთანავე ის მიმქრალი მუხტი უნდა გაეღვივებინა, რაც ქალებს მწერლობისკენ უბიძგებდა. „საკუთარი ოთახი“ შესანიშნავად გადმოგვცემს რომანის წერის მნიშვნელოვან საკითხებს, ანალიზს უკეთებს ქალების მიერ შექმნილ ლიტერატურულ ნაწარმოებებს და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებებზე, რაც საუკუნეების განმავლობაში ქალებს დაბრკოლებას უქმნიდა შემოქმედებითად მუშაობაში. ვულფის ესსე მნიშვნელოვანია იმ კუთხითაც, რომ ის პირველი ფემინისტური ტექსტია და ღიად საუბრობს შემოქმედი ქალების განცდებსა და პრობლემებზე.

“The Common Reader”

ვირჯინია ვულფის “The Common Reader” წარმოადგენს ესსების კრებულს, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე მწერლებს და მათი შემოქმედების ანალიზს ახდენს. კრებულში აგრეთვე გვხვდება მსჯელობა ვულფის თანამდროვე მხატვრული ლიტერატურისა და ესსეს განვითარების ტენდენციების

შესახებ. განსაკუთრებით საინტერესოდაა წარმოჩენილი და განხილული მწერალი ქალები, რომლებმაც უდიდესი წვლილი შეიტანეს ლიტერატურის განვითარებაში.

„საკუთარ ოთახში“ წარმოდგენილი მსჯელობა მარგარეტ კავენდიშის შესახებ უფრო ვრცლადაა მოეცუმული ესსეში „ნოუქასთლის ჰერცოგინია“ (The Duchess of Newcastle). მარგარეტის ოცნება ბავშვობიდანვე სახელისა და დიდების მოხვეჭა იყო, რასაც წარმატებით მიაღწია თავისი ცხოვრების განმავლობაში. მისი უცნაური ხასიათი, განსაკუთრებული ენერგიულობა და მომაჯადოებელი ძალა შესანიშნავად აისახა მისსავე პოეზიაში, დრამებში, საჯაროდ წარმოთქმულ სიტყვებსა თუ მსჯელობებში. ვულფის აზრით, ლედი მარგარიტის ხასიათი და ცხოვრების სტილი მისი აღზრდის წესით იყო განპირობებული (Maze, 1997: 76). რვა და-ძმიდან უმცროსი მარგარიტი, თავისუფალ გარემოში იზრდებოდა, დედის გავლენით მან იცოდა, რომ პიროვნების ხასიათი და გულწრფელობა მეტად მნიშვნელოვანი იყო ქალის ნორმალური ჩამოყალიბებისა და ბედნიერებისათვის.

პატარაობდანვე მარგარეტს ხელსაქმეს კითხვა ერჩივნა, ის აგრეთვე მოდური ტრენდებითაც იყო დაინტერესებული, მაგრამ მისი ყველაზე საყვარელი საქმიანობა მაინც წერა იყო. ამაზე მეტყველებს მის მიერ დატოვებული მემკვიდრეობა, თექვსმეტი წიგნი, რომელიც სხვადასხვა წერილებითაა შეკრებილი. ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებას სხვა დადებითი გავლენაც ჰქონდა მარგარეტის ხასიათზე. დაქორწინების შემდეგაც, ის ხშირად აღნიშნავდა, რომ უყვარდა თავის და-ძმასთან ერთად შეკრება და სხვადასხვა თემაზე მსჯელობა, ბედნიერებას ანიჭებდა ეს ოჯახური სიახლოვე და მჭირდო ურთიერთობები. მას შეეძლო საათობით მარტოსაც ესეირნა და გონებაში შეექმნა სანატრელი კაბის თარგები, რადგან მუდამ სურდა,რომ სხვებისგან გამორჩეული და განსხვავებული ყოფილიყო. მას სიამოვნებას არ ანიჭებდა ისეთი საქმე, რაც მასას იზიდავდა, მაგალითად, ბავშვობისას არ უყვარდა თოჯინებით თამაში და ამას ფიქრი და სეირნობა ერჩივნა. ამგვარმა განსაკუთრებულობამ აფიქრებინა სამეფო კარზე მოღვაწეობა, მას შემდეგ რაც შეიტყო, რომ სამოქალაქო ომი შემდეგ დედოფალს სეფექალები ესაჭიროებოდა. მარგარეტის დედას არ მოეწონა ეს გადაწყვეტილება, რადგან იგრძნო, რომ გაუჭირდებოდა სახლიდან შორს ცხოვრება, მართლაც მარგარეტმა მოგვიანებით აღიარა, რომ რთული იყო სრულიად უცხო გარემოსთან შეგუება, განსაკუთრებით მაშინ როცა დასცინოდნენ და აბუჩად იგდებდნენ,ამიტომ მალევე სთხოვა დედას შინ დაბრუნების ნება მიეცა, მაგრამ უარი მიიღო. მოგვიანებით მარგარეტი დედოფალს საფრანგეთში გაჰყვა, სადაც შეხვდა მომავალ მეუღლეს ნიუქესთლის მარკიზს, რომელიც მოიხიბლა ახალგაზრდა, მორცხვი და უცნაურად ჩაცმული მარგარეტის სილამაზით. მარგარეტი იხსენებს, რომ მათი სიყვარული ნამდვლად გულწრფელი და კეთილშობილური იყო. მარკიზის დიდებული და რომანტიკული ტემპერამენტი, რომელიც აღმერთებდა პოეზიას, მუსიკას და ფილოსოფიას შესანიშნავი მეწყვილე აღმოჩნდა მარგარეტისთვის. მიუხედავადი იმისა, რომ მას ძალიან ეშინოდა ქორწინების, მეუღლემ შესაშური კომპანიონობა გაუწია და განსაცდელის დროსაც გვერდიდან არ მოშორებია. მარგარეტს შეეძლო ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მწერლობისთვის მიეძღვნა თავი და რაღაც სასწაულის წყალობით თავისი დრამები, ლონდონიში დაედგა. ის დაუფარავად საუბრობდა, ქალისათვის განათლების მნიშვნელობაზე და ცდილობდა ხალხის გამოფხიზლებას, რომლებიც მისი აზრით სიბნელეში ცხოვრობდა,“We are in utter darkness” (Woolf, 2003b: 72).

მარგარეტს იმაშიც დებდნენ ბრალს, რომ ნაშრომები მას არ ეკუთნოდა და სხვის ნამუშევრებს თავის სახელს არქმევდა,რამაც დიდი იმედგაცრუება გამოიწვია, მაგრამ, მოგვიანებით მან მაინც აიღო კალამი ხელში და თავისი ბუნებრივად მომადლებული ნიჭით შექმნა დედოფალ მაბისა და ზრაპრული ქვეყნის ისტორიები. დროსთან ერთად დაიხვეწა მისი სტილიც და პოეტური ქმნილებებიც უფრო ფაქიზი გახდა.

ვულფი მიიჩნევს, რო მხატვრული თვალსაზრისით მისი შემოქმედება ღირებულებას მოკლებულია, მაგრამ მათში ჩანს ავტორის მტკიცე ბუნება და გაუტეხელი ხასიათი, აგრეთვე, არის მასში რაღაც დონ კიხოტისეული და მიმზიდველი, რაც მისი შემოქმედების კითხვისას აშკარად იგრძნობა (Gualteiri, 2000: 68). ხალხი, რომელმაც ჰერცოგინია გიჟად შერაცხა, ველბექში გამგზავრებულ მარგარეტს მოუთმენლად ელოდებოდა, რათა საკუთარი თვალით ენახათ, დიდი სევდიანი თვალების მქონე ლედი, რომლის მზერაც უსათუოდ მიანიშნებდა მის სამუდამო სახელს და დიდებას.

შემდეგი ესსე ჯორჯ ელიოტს ეხება, სადაც ვულფი აღნიშნავს, რომ ელიოტის პიროვნების ღრმა ანალიზი კიდევ უფრო მეტად გვარწმუნებს თუ რა მცირეოდენ ინფორმაციას ვფლობთ მის შესახებ. მერი ევანსის შესახებ სხვადასხვა მოსაზრებები გვხვდება, მაგალითად, ლორდი ექტონი მიიჩნევდა, რომ ის დანტეზე აღმატებული იყო, ხოლო ჰერბერტ სპენსერი მის რომანებში მხატვრულ ღირებულებას ვერ ხედავდა. მიუხედავად წინააღმდეგობრივი აზრებისა, ვულფს ელიოტი ქალთა სქესის სიამაყედ მიაჩნია.

ის კრიტიკული ჩანაწერები რაც ჯორჯ ელიოტის შესახებ არსებობს, თითქოს მიგვანიშნებს რომ მისი ავტორები ნაკლებად იცნობენ ელიოტის ნაწარმოებებს. კრიტიკოსები, რომლებიც ძირითადად მამაკაცები იყვნენ, ქალური შარმის ნაკლებობას უსვამდნენ ხაზს, რადგან ცხოვრებაში ჯორჯ ელიოტს აკლდა ქალური ხიბლი. ძალიან მწირი ცნობები არსებობს მისი ახალგაზრდობის შესახებ, მაგრამ არსებული წყაროები მოგვითხრობს იმ ტკივილსა და ტანჯვაზე რაც ახალგაზრდა ქალმა გადაიტანა. მიუხედავად გაჭირვებისა და მძიმე ოჯახური მდგომარეობისა, ის ძალიან ბევრს კითხულობდა და საოცარ ინტელექტულურ განვითარებას მიაღწია. ელიოტს ჰქონდა მიზანი მოშორებოდა პროვინციული ცხოვრების რუტინას და ახალი თავაგადასავლები მოეძებნა. მართალია ახალგაზრდა ასაკში ამ მიზნის განხორციელება ვერ შეძლო, მაგრამ ოცდათხუთმეტი წლისამ ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რამაც დიდ გავლენა მოახდინა თავს შემოქმედებაზეც.

ჯორჯ ჰენრი ლუისთან ერთად ვაიმარში გამგზავრების შემდეგ თითქოს მის ნაწარმოებესაც ეტყობა თავისუფლებისა და პირადი ბედნიერების კვალი. თუმცა აღსანიშნავია, ისიც, რომ მწერლობის დასაწყისში ის მაინც ბოლომდე ვერ შორდება სოფლის წყნარი ცხორების ამსახველ სურათებს და ამას თავის რომანებშიც გადმოგვცემს. მაგრამ მხატვრულ განვითარებასთან ერთად პროვინციული ცხოვრების კადრები თანადათან უკანა პლანზე იწევს და ვულფის აზრით, საბოლოო ჯამში ვიღებთ მის შესანიშნავ რომანს „მიდლმარჩი“, რომელიც გარკვეული ნალოვანებების მიუხედავად ერთ-ერთია იმ მცირე რაოდენობის ინგლისური რომანებიდან, რომლებიც ზრდასრული ადამიანის საკითხაადაა დაწერილი.

ჯორჯ ელიოტი ხშირად წუხდა იმაზე, რომ ვერავინ იგებდა პირადი ბედნიერებისათვის მის მიერ გადადგმულ ნაბიჯს და რომ ის იძულებული გახდა ამ გადაწყვეტილების გამო გარე სამყაროს დაშორებოდა. მიუხედავად გარკვეული ეჭვებისა, მას არასდროს უნანია ეს ნაბიჯი. მართლაც, თავისუფლების იმ შეგრძნებას, რასაც მწერალ ქალი გრძნობდა ვერაფერი შეედრებოდა.

ელიოტის გმირები მსუბუქი იუმორითაა შექმნილი, მათ არ ახასიათებთ სატირა, ელიოტს მკითხველთან ახლოს მოაქვს მათი ცხოვრების ისტორები, რაც თანაგრძნობით მათ მიმართ თანაგრძნობით გვავსებს. მაგრამ ამ იუმორით სავსე ამბებში შეგვიძლია ვიგრძნოთ ტკივილის ნიშნებიც, რადგან მის ნაწარმოებებს წარსულის ტკბილ-მწარე მოგონებების კვალი ატყვია. ვულფი მიიჩნევს, რომ ელიოტის ქალი პერსონაჟების მიღმა თავად ავტორი იმალება და მწერალი ამ გმირების მეშვეობით თავის ყველაზე უფრო დამალულ და ბნელ მხარეს გვიჩვენებს. ეს არა გასაკვირი, რადგან სამწერლობო მოღვაწეობის დასაწყისში ელიოტის გულში თავი მოეყარა ტკვილისა და სინანულის

გრძნობებს. რაც შეეხება მის მამაკაც პერსონაჟებს, მათში თითქოს სისუსტეს და უხეშობას ვამჩნევთ, თუმცა ეს განპირობებულია არა იმით, მას არ შეუძლია მამაკაცი გმირების დახატვა, არამედ იმით, რომ ელოტი დარწმუნებული არაა, თუ როგორი მეწყვილე შეურჩიოს თავის ქალ პერსონაჟებს. ელიოტის ქალი პერსონაჟები ყოველთვის ბევრს საუბრობენ, თითოეულ მათგანს დიდი სურვლი აქვს დადებითი აღმოაჩინოს საკუთარ თავში მუდმივ ძიებაში არიან, მაგრამ კარგად ვერ გაუგიათ, რას ეძებენ. ეს ძიება მათთვის ან ტრაგიკულად ან კიდევ დათმობაზე წასვლით სრულდებადა (Selected Essays, 1972: 84). შეიძლება ითქვას, რომ თითოეული მათგანის ამბავი თავად ავტორის დაუსრულებელ ისტორიას მოგვაგონებს, რომელიც დიდხანს ეზიდებოდა ქალად ყოფნს უმძიმეს ტვირთს და მიუხედევად ამისა, არასოდეს შეუწყვეტია ცოდნისა და თავისუფლების ძიება.ხშირ შემთხვევაში მისი ქალური სურვილები მამაკაცთა სასტიკ სამყაროს ეჩეხებოდა მაგრამ მაინც მაინც მიაღწია სასურველ გამარჯვებას და ლიტერატურაში წარუშლელი კვალი დატოვა.

ესსეების კრებულში აგრეთვე საინტერესოდაა განხილულია დებ ბრონტეების შემოქმედება. შარლოტ ბრონტეზე საუბრისას ვულფი აღნიშნავს, რომ ორკშირის ველურ გარემოში მცხოვრები შარლოტ ბრონტე მუდამ უბედურად და მარტოსულად გრძნობდა თავს, რაც ნაწილობრივ აისახა კიდეც მის რომანში. „ჯეინ ეარის“ კითხვისას ჩნდება ეჭვი, რომ ავტორის წარმოსახვა იმდენად ტრადიციულია, რომ წიგნი მხოლოდ ვიქტორიანული მორალის მიმდევართათვის იქნება საინტერესო, მაგრამ რომანი მსგავს ეჭვებს სრულიად აქარწყლებს. განწყობა, რაც კითხვისას გვეუფლება ბოლო გვერდამდე არ გვტოვებს და ინტერესით ველოდებით მოვლენების განვითარებას. იმ სამახსოვრო სახეებს, რომლებსაც ნაწარმოებში ვხვდებით ავტორის თვალით აღვიქვავთ. ნაწარმოები მომხიბვლელია ჯეინ ეარის თავგადასავლებით, მისი სიმამაცით, განსაკუთრებით იმით, რომ მწერალმა შეძლო და ისე საინტერესოდ აჩვენა მთავარი პერსონაჟი, რომ მისტერ როჩესრეტი მის ჩრდილში მოაქცია. შარლოტ ბრონტემ აგრეთვე მკითხველს აჩვენა ის, რასაც თავად ხედავდა და გრძნობდა, შექმნა უამრავი საინტერესო და დასამახსოვრებელი პერსონაჟი. ვულფი აღნიშნავს, რომ მიუხედავად რომანის დადებითი მხარეებისა და საინტერესო პერსონაჟებისა, ტოლსტოის და ოსტინის პიერსონაჟები ბევრად უფრო კომფლექსურები არიან. აგრეთვე, იგი შარლოტ ბრონტეს სტილს ტომას ჰარდისას ადარებს, თუმცა ამ უკანასკნელის შემთხვევაში მკითხველს უფრო მეტი დაფიქრება სჭირდება, ჩნდება სხვადასხვა სახის კითხვები, რაც ჰარდის პერსონაჟების უფრო მეტად კომპლექსურობასა და სიღრმისეულობაზე მიგვანიშნებს. შარლოტ ბრონტეს სტილი თითქოს ჟურნალისტურს ჰგავს, ეს გასაგებიცაა, რადგან მას არასოდეს ჰქონია ბევრი წიგნის კითხვის ფუფუნება ან მხატვრული წერის მეთოდების გაცნობის საშუალება. შესაბამისად, ის ნაკლოვანებები, რაც რომანს გააჩნია მარტივი შესამჩნევია. დასასრულს ჯეინ ეარი კვლავ გუვერნანტად რჩება, მართალია მან იპოვა საკუთარი სიყვარული, მაგრამ ვულფს მიაჩნია, რომ შეყვარებულ გუვერნანტად ყოფნა მრავალფეროვან დედამიწაზე სეროზული შეზღუდულობის ნიშანია, რადგან სამყარო სავსეა სხვა უამრავი თავგადასავლით, რომელთა გამოცდაც ჯეინ ეარს აღარ შეუძლია. თითქოს შარლოტ ბრონტეს არ ძალუძს ცხოვრებისეული სირთულეების მოგვარება, რიგ შემთხვევებში მან არ იცის მსგავსი დაბრკოლებებების არსებობის შესახებ და თავისი ძალებით მხოლოდ ამის თქმა შეუძლია „მე მიყვარს“, „მე მძულს“, „მე ვიტანჯები“ (Woolf, 2003a: 138).

ვულფი აღნიშნავს კიდეც, რომ ემილი შესანიშნავი პოეტია, სწორედ ამ ნიჭის წყალობით შეძლო მან მის ირგვლივ მყოფი საგნების თუ მოვლენების ასე საინტერესოდ აღწერა, თანაც ისე, რომ საკუთარი გულისტკივილი თავს არ მოუხვევია. მან შიგ ჩააქსოვა მის მიერ აღქმული და გაანაალიზებული მთელი სამყარო და შეძლო ამ სამყაროს ქაოტურობა წიგნად გაეერთიანებინა. რაც კიდევ უფრო საინტერსოს ქმნის ამ რომანს, ეს მისი რეალისტური მხარეა, ემილი ბრონტესთან არ არსებობს, „მე“, აქ არის „ჩვენ“ და

მთელი კაცობრიობა, აქ სიყვარულია, თუმცა არა უბრალო, არამედ ცოცხალი და ხელშესახები. ჰიტკლიფიც რეალურია და კეტრინიც, ჩვენ შეგვიძლია გავაკრიტიკოთ ისინი თავიანთი ქმედების გამო, მაგრამ მაინც ყველაზე ახლობელ და საყვარელ პერსონაჟებად რჩებიან. ამგვარი ძალა აქვს ემილი ბრონტეს შემოქმედებას, უზღვავი ენერგიით და ემოციებით ავსებს მკითხველს. და რაც მთავარია, მას შეუძლია შესანიშნავი ოსტაობით გადრაქმნას რეალობა მხატვრულ ლიტერატურად.

ესსების კრებულში ჯეინ ოსტინის შესახებ „საკუთარ ოთახში“ მოცემული მჯელობა კიდევ უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილია. ვულფი განსაკუთრებით განიცდის იმ ფაქტს, რომ სხვა მწერალი ქალების მსგავსად, ჯეინიც სრულიად ახალგაზრდა გარდაიცვალა და ვერ შეძლო მისი შესანიშნავი შემოქმედების კიდევ უფრო განვითარება. ის პატარა, ლამაზი და სულელი გოგონა, რომელიც საქმროს ეძებდა, როგორც ამას ოსტინების ახლობელი მისის მიტფორდი იხსენებდა, მოგვიანებით „სიამაყე და ცრურწმენის“ ავტორი გახდა, მაგრამ წიგნი წლების განმავლობაში თაროზე იყო შემოდებული და გამოქვეყნებას ელოდა. ალბათ, გასაკვირი არაა რატომ ორჭოფობდა ჯეინ ოსტინი წლების განმავლობაში. რა თქმა უნდა, მას ჰქონდა იმის შიში, რომ მკითხველი გაკიცხავდა და მწარედ გააკრიტიკებდა მის შემოქმდებას.

ჯეინ ისტინმა წერა ჯერ კიდევ თხუთმეტი წლის ასაკში დაიწყო და ამ ნაწერებშიც კარდაგ ჩანს ახალგაზრდა გოგონას შესანიშნავი ნიჭი. ჯეინმა თითქოს დაბადებიდან იცოდა როგორი იყო სამყარო და რა ადგილის დაიკავებდა ის. მწერალს წერის დაწყებისთანავე უკვე ჰქონდა გარკვეული მოსაზრებები ადამიანების შესახებ, ის ყოველთვის სრულყოფილ სახეს აძლევდა თავის ნაწერებს და აღსანიშნავია, რომ მისი რომანები პიროვნებების პრობლემებზე არაა დაყვანილი, ისინი უნივერსალურ ისტორიებს გვთავაზობენ. ოსტინს აგრეთვე აქვს ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ამბების განსაკუთრებულ და დაუვიწყარ ისტორიებად გარდაქმნის უნარი. მისი შემოქმედებითი ნიჭი სრულიად უბრალო სცენას განსაკუთრებულ ელფერს სძენს. ოსტინის სტილისათვის დამახასიათებელია ღრმა ემოციურობა და მოვლენების საინტერესოდ განვითარება. მაგალითად, ემას ისტორიაში მკითხველი მუთმენლად ელოდება როგორ გადაიჭრება უამრავი უხერხული სიტუაცია და რა ბედი ეწევათ რომანის გმირებს. სწორედ მსგავსი დეტალებიდან ჩანს ავტორის ნიჭი, რის შედეგდაც კითხვა უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს და სხვა თვალით ვაფასებთ ადამიანურ ღირებულებებს. ოსტინს ყველზე უკეთ აქვს გაგებული ადამიანური ღირებულებების მნიშვნელობა. სიკეთე, სამართლიანობა და გულწრფელობა, ის ფასეულობებია, რას მისი რომანების მთავარ ღერძს ქმნის. „მესფილდის პარკის“ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პერსონაჟი მერი ქროფორდი კარგის და ცუდის ნაზავია, საიდანც მოდის მისი მიმზიდველობაც და რომანის სცენების კომპლექსურობა. მსგავსი კონტრასტი შეუდარებელ ემოციებს წარმოშობს, რაც რომანს განსაკუთრებულს ქმნის. ოსტინის თითოეული სიტყვა თანდათან მნიშვნელობას იძენს, ცოცხლდება და საბოლოო ჯამში წარუშლელ შთაბეჭდილებებს ტოვებს. მიუხედავად იმისა, რომ ოსტინი პროვინციაში აღიზარდა და სიცოცხლის ბოლომდე იქ ცხოვრობდა, მან პერსონაჟთა მრავალფეროვანი გალერეა დაგვიხატა და შესაბამისად, ცხოვრებაც თავისი სისავსით წარდმოგვიდგინა.

ვულფისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ოსტინის ბოლო დასრულებული რომანი „დარწმუნება“ (1817). ეს წიგნი მნიშვნელოვანია იმით, რომ მაკავშირებელი ხიდის ფუნქცია აქვს მწერლის შემოქმედების ორ სხვადასხვა პერიოდს შორის. სხვა ნაწარმოებებისგან განსხვავებით, უკვე აღარ ხდება მოვლენების მსუბუქად აღწერა, რადგან ოსტინმა თითქოს კარგად შეიცნო ამქვეყნიური ცხოვრების ბნელი მხარე, შესაბამისად იმატებს სატირა და კომიკურობა თანდათან უკან იხევს. გარდა ამისა ამ წიგნში არის რაღაც ახალი, რაც კიდევ უფრო სიღრმისეულად გვაჩვენებს სამყაროს მისტიკურ მხარეს და მის რომანტიკულობას. იცვლება ცხოვრებისადმი

დამოკიდებულება, ის თითქოს იმ ქალის თვალით აღიქვამს ყოველდღიურობას რომლიც უბედურია, მაგრამ კვლავ აქვს განსაკუთრებული თანაგრძნობის უნარი სხვების მიმართ (Gualteiri, 2000: 64). ამ წიგნში ნაკლებადაა ფაქტებზე დაკვირვება, უფრო მეტად ადამიანური გრძნობებია წარმოჩენილი, რის შესახებაც ოსტინი ყოველგვარი უხერხულობისა და შიშის გარეშე საუბრობს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ იწყება ადამიანების ფსიქოლოგიურ პორტრეტებზე დაკვრირვება და მათი ღრმა ანალიზი. რომ არა ადრეული გარდაცვალება, ვულფის აზრით, ჯეინ ოსტინი საფუძველს ჩაუყრიდა ადამიანის შინაგანი სამყაროს კვლევას და ჰენრი ჯეიმზის და მარსელ პრუსტის წინამორბედი იქნებოდა. ასევე, იგი შეძლებდა შეემუშავებინა მეთოდი, რომლითაც გამოხატავდა თავისი პერსონაჟების უთქმელ სიტყვებსა თუ ემოციებს, ცხოვრების მნიშვნელობას. მართალია, ოსტინი ვერ გადავიდა თავისი შემოქმედების მეორე პერიოდზე, მაგრამ მისი მემკვიდრეობა იმდენად ღირებულია, რომ მუდამ ღირსეულ ადგილს დაიკავებს მსოფლიო ლიტერატურის საგანძურში.

"The Common Reader", როგორც ამას სათაური მიგვანიშნებს, უბრალო მკითხველისთვისაა დაწერილი, რათა მან შეძლოს ვულფისათვის მნიშვნელოვანი მწერლების შესახებ ინფორმაციის მიღება და მხატვული ლიტერატურის შესახებ ზოგადი ცნობების გაგება. მაგრამ, ვულფის ესსები გაცილებით უფრო დიდ ყურადღებას და განათლებას მოითხოვს. ეს ესსები განსაკუთრებულია, იმით რომ არსებით და ყურადსაღებ ინფორმაციას გვაწვდის შემოქმედი ქალების შესახებ, აგრეთვე გვთავაზობს მათი სტილისა და შემოქმედების ანალიზს.

დასკვნა. დაკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ვირჯინია ვულფის შემოქმედება შესანიშნავად გვიხატავს მისი ეპოქის სულისკვეთებას და შემოქმედი ქალებისადმი დამოკიდებულებას. მწერლის ნაწარმოებები ფემისტური ღირებულებების მატარებლია და ძლიერი, თავისუფალი ქალის მნიშვნელობას უსვამს ხაზს. ქალი ავტორების მისეული დეტალური აღწერა და ანალიზი გვითვალსაჩინოებს თითოელი მათგანის უდიდეს როლს ფემინისტული ლიტერატურის განვითარების გზაზე. გარდა ამისა, ვულფი ბევრ საინტერესო და სასარგებლო რჩევას იძლევა რომანის წერს ტექნიკაზე. ესსეებში წარმოდგენილია არგუმენტირებული მსჯელობა შემოქმედი ქალების რაოდენობრივი სიმწირის მიზეზებზე. მიუხედავად ყველაფრისა, ვულფი მომავლის იმედითაა განმსჭვალული და დიდ მოტივაციას აძლევს ახალბედა შემოქმედებს. ავტორი თავისი ლიტერატურული მემკვიდრეობით გვიჩვენებს, რომ ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის ბევრ სიძნელესა და დაბრკოლებასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჯუდით შექსპირის, დებ ბრონტეების, ჯეინ ოსტინის და სხვათა ისტორიები ღრმად გვარწმუნებენ ამ ბრძოლის შედეგიანობაში და იმედს გვაძლევენ, რომ ფარ-ხმალი არ დავყაროთ და ყველაფრის მიუხედავად განვავითაროთ შემოქმედებითი მისწრაფებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

ვულფი, ვ. (2007). *საკუთარი ოთახი.* თბილისი: გლობუსი.

Woolf, V. (2003)a. *The Common Reader*. Vol. I. Vintage Classics. New edition.

Woolf, V. (2003)b. *The Common Reader*. Vol. II. Vintage Classics. New edition.

Woolf, V. (2007). *A Room for One's own*. London: The Hogarth Press.

The Norton Anthology of English Literature. (2001). Fifth edition. Vo. 2. W.W. Norton & Company. New York. London.

A Study Guide for Virginia Woolf's "A Room of One's Own". (2017) The Gale Group.

Maze, J. R. (1997). *Virginia Woolf: feminism, Creativity, and the Uncunscious.* WestPoint Greenwood Press.

Selected Essays. (1972). 3rd enl. Ed. 1951. London: Faber.
Rose S. & Sellers S. (Ed.). (2000). *The Cambridge Companion to Virginia Woolf*. United Kingdom: Cambridge University Press.
Gualteiri, E. (2000). *Virginia Woolf's Essays*. New York: St. Martin's Press, INC.
Michael, M. (1996). *Feminism and the Postmodern Impulse.* Albany: State University of New York Press.

REFERENCES:

vulpi, v. (2007). *sak'utari otakhi [A Room for One's own]*. Tbilisi: Globusi.
Woolf, V. (2003)a. *The Common Reader*. Vol. I. Vintage Classics. New edition.
Woolf, V. (2003)b. *The Common Reader*. Vol. II. Vintage Classics. New edition.
Woolf, V. (2007). *A Room for One's own*. London: The Hogarth Press.
The Norton Anthology of English Literature. (2001). Fifth edition. Vo. 2. W.W. Norton & Company. New York. London.
A Study Guide for Virginia Woolf's "A Room of One's Own". (2017) The Gale Group.
Maze, J. R. (1997). *Virginia Woolf: feminism, Creativity, and the Uncunscious.* WestPoint Greenwood Press.
Selected Essays. (1972). 3rd enl. Ed. 1951. London: Faber.
Rose S. & Sellers S. (Ed.). (2000). *The Cambridge Companion to Virginia Woolf*. United Kingdom: Cambridge University Press.
Gualteiri, E. (2000). *Virginia Woolf's Essays*. New York: St. Martin's Press, INC.
Michael, M. (1996). *Feminism and the Postmodern Impulse.* Albany: State University of New York Press.